

მოსახლეობას პურის მიწოდების კუთხით პრობლემები არ ექნება



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დევან დავითაშვილი პურის მწარმოებელი მსხვირი კომპანიების – შპს „პურის“ (იფქრი დილომი) და „იფქრის“ საწარმოო სიმძღავრეებსა და არსებული მარაგების შესახებ ინფორმაციას ადგილზე გაეცნო.

დღეისათვის კომპანიებში საკმარისი მარაგებია, მწარმოების პროცესები შეუფერხებლად მიმდინარეობს და მოსახლეობას პურის მიწოდების კუთხით პრობლემები არ ექნება.

პროდუქციის მიწოდების უწყვეტად განხორციელებისთვის, პურის მწარმოებელი საწარმოები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ. პროდუქციის რეაღიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება.

საწარმოებში მაქსიმალურადაა დაცული დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციები და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუდმივ კომუნიკაციაშია სასურსათო ჯაჭვის ყველა რგოლთან, ყველა მწარმოებელთან, იმისთვის, რომ მომარაგების კუთხით ქვეყანაში პრობლემები არ შეიქმნას და ძირითადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე, მათ შორის პურზე, ფასი შენარჩუნდეს.